განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19.03.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28.03.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოთარ ბაღათურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის სფეროში თანამედროვე ცოდნითა და საჭირო უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების მომზადებას. პროგრამა მოიცავს 120 ECTS-ს, წელიწადში 60 ECTS, სემესტრულად 30 ECTS. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, ხოლო 38 ECTS სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მოიცავს: საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის; რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის; პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 19 მარტს 9:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: ცენტრალური ადმინისრაციის წარმომდგენლები: ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ხარისხის ურზუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელი, პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი და კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი. სახელმწიფო მართვის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: სკოლის დეკანი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი; აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი; სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) დათვალიერება და სამაგისტრო ნაშრომების განხილვა. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტთან მიმართებით, კონკრეტულად, ქვესტანდარტები 2.3. და 2.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მესამე სტანდარტის ქვესტანდარტი 3.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (სახელმწიფო მართვა)
  - სილაბუსებში სავალდებულო/დამატებითი ლიტერატურის ველში ზოგადი ვებ-გვერდების ნაცვლად არსებულ ვებ-გვერდებზე კონკრეტული მასალის მითითება
  - სილაბუსებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს.
  - სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის დაშვება
  - სამაგისტრო ნაშრომში პირველადი მონაცემების მოგროვებისა და ანალიზის კომპონენტების (რაოდენობრივი ან თვისებრივი გზით) სავალდებულოდ დამატება და შეფასების კომპონენტებში შესაბამისი ასახვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - დამსამებელთა ჩართულობის სისტემატიზაცია, რეგულარული შეხვედრების (მაგ, ყოველწლიური ფოკუს-ჯგუფები) განხორციელება.
  - სახელმწიფო მართვის კურსში საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის თემების დამატება
  - მოწვეულ პერსონალთან მუშაობის პროცესში სკოლისა და პროგრამის ხელმძღვანელობის ჩართულობის გაზრდა. მომიჯნავე საგნებში მოწვეული პერსონალის ურთიერთთანამშრომლობის მეტად ხელშეწყობა.
  - პროგრამაზე მისაღები პროცედურების ფარგლებში ინგლისურის ტესტირების ერთიანი ფორმატის შემუშავება (წერილობითი, ზეპირი ან კომბინირებული სახით)
  - სტუდენტების ჩართულობის ზრდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო კონკურსებში და საუკეთესო ნაშრომების გამოქვეყნების საშუალება თუნდაც ელექტრონულ ჟურნალში.
  - სტუდენტების საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა (Erasmus+ გაცვლითი კურსები და სხვ.)
  - პირველადი აპელაციის დროს გასაჩივრებული ნაშრომის გასასწორებლად გადაცემა სხვა ლექტორისათვის.
  - კარიერისა და დასაქმების სამსახურის უფრო აქტიური ჩართულობა სტუდენტთა დასაქმების პროცესში, პერსონალური უნარების განვითარების ხელშეწყობის გზით

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შემუშავება, კვლევის გამოყენებული მეთოდებისა და შეფასების დეტალური აღწერით.
- ლიტერატურის მიმოხილვის ან სამაგიდო კვლევის დროს განახლებული სამეცნიერო წყაროების გამოყენება.
- სტუდენტების წახალისება ბიბლიოთეკის მატერიალური და ელექტრონული რესურსების გამოყენებისათვის არასავალდებულო/დამატებთი ლიტერატურის მოძიების მიზნით
- განვითარების, კვლევითი კომპონენტის, აკრედიტაცია/ავტორიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტური პროექტებისათვის გამიზნული ფინანსური რესურსების მეტი დეტლიზაცია და დაკონკრეტება.
- თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სახელწოდების დაზუსტება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ერთიანი საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების და გასაჩივრების/აპელაციის ორგანიზება და განხორციელება, სტუდენტთა ნაშრომების კოდიფიცირებული სახით (კონფიდენციალობის დაცვით) გასწორება.
- უნივერსიტეტის თანამშრომლობა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ წამყვან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან.
- შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო გრანტების არსებობა
- სამაგისტრო ნაშრომების ორმაგი რეცენზირება
- სკოლის ფარგლებში არსებული მოცულობითი აკადემიური ბაზები და ლიტერატურა, რაც იძლევა სათანადო სამაგიდო კვლევის ჩატარების საშუალებას
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ლოიალურობა უსდ-სა და სკოლის მიმართ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- საქართველოს ევროკავშრთან ასოცირების პროცესების ასახვა სასწავლო პროგრამაში ახალი კურსის - „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია“ - დამატებით.

- 2018 წელს შემუშავებული და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები.

- წინა აკრედიტაციის პერიოდიდან პროგრამაში შესულია ცვლილებები პროგრამის კრედიტების, სავალდებულო და არჩევითი კურსების ბლოკებისა და მოდულების განსაზღვრის მხრივ

- ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზანი ახალი რედაქციით
- შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდის პილოტირება
- 2014 წლის შემდეგ ბიბლიოთეკის რესურსების მნიშვნელოვანი განახლება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სახელმწიფო მართვის სკოლის ფარგლებში ხორციელდება, მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი არიან ორგანიზაციული მართვისათვის საჭირო თეორიული, მულტიდისციპლინური, მულტისექტორული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნით; გააჩნიათ საჯარო მართვის განხორციელების ინსტიტუციური, სამართლებრივი, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნა; შეუძლიათ ინტეგრირებული მიდგომების საფუძველზე, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაცია და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით კვლევითი თუ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ასევე, შეუძლიათ შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ფასეულობების პრინციპებზე დაყრდნობით მართვისა და ლიდერული ფუნქციების შესრულება. პროგრამის და სკოლის მიზნები სრულად გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და მასში დასახულ ძირითად ღირებულებებს ეყრდნობა. პროგრამის განხორციელების და ცვლილებების გატარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის ძირითადი კვლევები, რაც ასახულია უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დამსაქმებელთა გამოკითხვისა და შრომის ბაზრის კვლევების ანგარიშებში. გარდა ამისა, დაგეგმილია შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელშიც უსდ სხვა ქართულ კერძო უნივერსიტეტებთან ერთად მონაწილეობს და რომელიც თავად უნივერსიტეტების თანხებით ფინანსდება. პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არიან დამსაქმებლები, რომლებთანაც იმართება ხშირი შეხვედრები სკოლის დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან. მათი მოსაზრებები და შეთავაზებები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში. თუმცა, დამსაქმებლებთან ურთიერთობას არ აქვს სისტემური ხასიათი და უფრო არაფორმალური სახით იმართება. არ არსებობს დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ფორმალიზებული პროცედურა (მაგ., ფოკუს-ჯგუფების ხასიათის რეგულარული შეხვედრები) ან სტრუქტურა,

რომელიც არსებული და/ან პოტენციური დამსაქმებლებით იქნება დაკომპლექტებული და რომელიც სისტემატურად ჩაერთვება პროგრამის განხორციელების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესში. პარტნიორული ურთიერთობები ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების პროფესიული ასოციაციის, NISPAcee-ს წევრობა ხელს უწყობს პროგრამაში დასავლური სტანდარტების ინტეგრირებას. დაგეგმილია NISPAcee-ს საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება. პროგრამა ასევე აქტიურადაა ჩართული ERASMUS+ პროექტებში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესების შესაბამისად პროგრამაში ევროკავშირის კონცენტრაციის გაძლიერება საჯარო ადმინისტრირების კუთხით და „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაციის“ სასწავლო კურსის დამატება. თვითშეფასების ანგარიშში ერთგან (გვ. 7) მცირე უზუსტობით არის მითითებული პროგრამის სახელწოდება - სახელმწიფო მართვის პროგრამა საჯარო მმართველობს ნაცვლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჯარო მმართველობის პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანგარიშები: PA ბაზრის კვლევა, დამსაქმებლის გამოკითხვა, საჯარო მმართველობა_დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან ○ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დებულება ○ ინტერვიუს შედეგები (უსდ ადმინისტრაცია, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, დამსაქმებლები)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ დამსაქმებელთა ჩართულობის სისტემატიზაცია, რეგულარული შეხვედრების (მაგ, ყოველწლიური ფოკუს-ჯგუფები) განხორციელება. ○ თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სახელწოდების დაზუსტება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ საქართველოს ევროკავშრთან ასოცირების პროცესების ასახვა სასწავლო პროგრამაში ახალი კურსის - „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია“ - დამატებით.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და დეტალურად არის ასახული სამაგისტრო პროგრამასა და სწავლის შდეგების რუკაში. პროგრამას აქვს 8 სწავლის შედეგი, რომლებიც კურსდამთავრებულების შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და პასუხსმგებლობითა და ავტონომიურობით აღჭურავს.

2018 წელს დაინერგა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ხორციელდება 2-წლიანი ციკლის განმავლობაში ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსების მონიტორინგზე დაყრდნობით. რუკაში ჩამოთვლილია ის სავალდებულო სასწავლო კურსები (12 საგანი), რომლებიც ემსახურება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას სამდონიანი შკალით (მაღალი, საშუალო, დაბალი).

უსდ-ს მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიმდინარე მონიტორინგისა და დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებით, მათ შორის - აკადემიური მოსწრება, სადაც სამიზნე ნიშნულად შერჩეულია შემდეგი მაჩვენებლები: უმაღლესი და ყველაზე დაბალი მოსწრების სტუდენტთა ხვედრითი წონა - სასწავლო კურსის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%, „ძალიან კარგი“ და „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების შემთხვევაში - 25-25%, ხოლო საშუალო მოსწრების სტუდენტების შემთხვევაში - 30%. სწავლების შედეგების შეფასება პირდაპირი მეთოდით ხორციელდება ყოველსემესტრულად.

შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან განხორციელებული გამოკითხვების ანალიზს, როგორებიცაა სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

- ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობები
- პროგრამის დასრულების მაჩვენებლები

- პროგრამაზე მობილობის მაჩვენებლები
- კურსდამთავრებულთა დასაქმება, მათ შორის სპეციალობის მიხედვით

შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კურსების და მთლიანად პროგრამის გადახედვა-გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამამ 2018 წელს განიცადა მოდიფიცირება, მათ შორის სწავლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით. კერძოდ, პროგრამაში შევიდა სასწავლო გეგმის სტრუქტურული ცვლილება სასწავლო კურსების სამი ძირითადი მოდულის ფარგლებში განაწილებით. ამ ცვლილებების მიხედვით, საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, 38 ECTS სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მოიცავს: საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის; რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის; პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკებს. ასევე, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პროგრამის მიზანი, რომელიც, ძველ რედაქციასთან შედარებით, უფრო კონკრეტულად შეესაბამება სწავლის დასახულ შედეგებს: თეორიული, მულტიდისციპლინური და მულტისექტორული ცოდნის გადაცემა; საჯარო მართვის განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარება; კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარება; ეთიკური და პროფესიული ფასეულობების გათავისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საჯარო მმართველობის პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების მეთოდოლოგია და გეგმა
- კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი #16
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2018 წელს შემუშავებული და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები.
- წინა აკრედიტაციის პერიოდიდან პროგრამაში შესულია ცვლილებები პროგრამის კრედიტების, სავალდებულო და არჩევითი კურსების ბლოკებისა და მოდულების განსაზღვრის მხრივ
- ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზანი ახალი რედაქციით, რომელიც კონკრეტულად შეესაბამება სწავლის დასახულ შედეგებს.

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საბაკალავრო საფეხურის ყველა კურსდამთავრებულს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე მიღების დროს არ განისაზღვრება პრიორიტეტული პროფესიები. შიდასაუნივერსიტეტო მისაღებ პროცედურებად განსაზღვრულია ტესტირება ინგლისურ ენასა და ინტერვიუ საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ თემებზე. ინგლისურის ტესტიდან თავისუფლდებიან ის აბიტურიენტები, ვინც წარადგენს B2 ან შესაბამის დონზე ენის ფლობის დამადასტურებელ საბუთს, ან ინგლისურ ენაზე უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე სწავლის საბუთს.

პროგრამაზე მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე შიდასაუნივერსიტეტო ეტაპების შესახებ ინფორმაცია სრულად არის განთავსებული უსდ-ს ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, მისაღები პროცედურების წინ უსდ-ს ვებ-გვერდზე ქვეყნდება ინგლისურის ტესტის ნიმუში და გასაუბრებისათვის აუცილებელი საბაზისო ლიტერატურა. ინგლისურის ტესტის ფორმატი (ზეპირი, წერილობითი თუ ორივე) განისაზღვრება ყოველწლიურად, მიღების წინ სკოლის საბჭოს მიერ. სასურველია, მეტი გამჭვირვალობისათვის, ტესტირების ფორმატი განისაზღვროს და დადგინდეს ერთიანი სახით. პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათავის ყოველწლიურად იმართება ღია კარის დღეები, იბეჭდება და ვრცელდება შესაბამისი საინფორმაციო მასალა, ინფორმაცია სრულად თავსდება ვებ-გვერზე, ტარდება სხვადასხვა სამოტივაციო ხასიათის ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ უსდ-ს ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები (სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ინგლისურის ტესტირების ერთიანი ფორმატის შემუშავება (წერილობითი, ზეპირი ან კომბინირებული სახით)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ს მიერ დამტკიცებული პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პერსონალის მართვის, ფინანსური, მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტრატეგიული განვითრების დეპარტამენტები, ბიბლიოთეკა და სკოლის ადმინისტრაციული ერთეულები.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამების შესახებ. პროგრამული ცვლილებების ინიცირება ასევე ხორციელდება ელექტრონული ფორმით და განიხილება შესაბამისი უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ, მათ შორის, ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური და სხვა. შემუშავებული და ამოქმედებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურები.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე კრედიტების სემესტრული, წლიური და სრული რაოდენობა, სავალდებულო და არჩევითი საგნების მიხედვით განაწილება შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება #3-ის მიხედვით. განსაზღვრულია ასევე თითოეული საგნის კრედიტების მოცულობა, რაც გულისხმობს საკონტაქტო საათებს, და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ საათებს. დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული საგნის ფარგლებში დავალებების (ესსე, კვლევითი ნაშრომი, პრეზენტაცია, საკურსო) მიხედვით. განსაზღვრულია ასევე სტუდენტისათვის დამატებითი სემესტრის აღების შესაძლებლობა სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვნების პერიოდი. აკადემიური წელი მოიცავს ორ სემესტრს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედგება 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.
1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს.
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, 38 ECTS სპეციალობის

არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მოიცავს: საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის; რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის; პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS). საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევითი მოდულის სასწავლო კურსების ნაცვლად აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან მობილობის ფარგლებში. სასწავლო პროგრამაში კურსებისთვის მინიჭებული კრედიტები შეესაბამება კურსების სილაბუსების მიხედვით გაწერილ დატვირთვას და პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დატვირთვის ადეკვატურია. მაგალითად, სწავლების პირველ სემესტრში სავალდებულო კურსებად განსაზღვრულია სახელმწიფო მართვა (6 ECTS), საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (5 ECTS), ეკონომიკა (5 ECTS) და აკადემიური წერა (4 ECTS). შესაბამისად განსაზღვრულია ასევე დამოუკიდებელი და საკლასო მუშაობის საათები. თითოეული საგანი მიმდინარეობს 16 კვირის განმავლობაში, 17-19 კვირა განსაზღვრულია ფინალური გამოცდისათვის, ხოლო მე-20 კვირა - ხელმეორე გამოცდის ჩატარებისათვის. სასწავლო დატვირთვის ამგვარი განაწილება საშუალებას აძლევს ასევე დასაქმებულ სტუდენტებს, სრულფასოვნად გაიარონ კურსი. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი, სასწავლო დატვირთვა და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია შედეგების რუკაზე, რომელიც თან ერთვის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განხორციელების წესი ○ პროგრამული ცვლილებებისა და რეაკრედიტაციის სამუშაო შეხვედრების ოქმები ○ თვითშეფასების ანრაგიში ○ ინტერვიუს შედეგები (ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა და დავალების კომპონენტები, სწავლების მეთოდები და შინაარსი, ასევე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ ხშირად სილაბუსებში სავალდებულო/დამატებითი ლიტერატურის ველში მითითებულია ზოგადი მისამართები, მაგ : www.parliament.ge; www.president.gov.ge და ა.შ. მაგალითად, სილაბუსი - ადმინისტრაციული სამართალი, ხელმძღვანელი ქ-ნი თამარ შუშიაშვილი;

მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოჩნდა მათი ნაკლები ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, სალექციო საათების ჩატარების გარდა. სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელთა მუშაობა მოწვეულ პერსონალთან. ასევე, მომიჯნავე საგნებში საკითხების უფრო ამომწურავად და განსხვავებული პერსპექტივით შესწავლისათვის გაძლიერდეს მოწვეული ლექტორების ურთიერთთანამშრომლობა სილაბუსების დამუშავების და სწვალების პროცესში. მაგალითად, სახელმწიფო მართვა, ლექტორი თორნიკე ნოზაძე, საჯარო პერსონალის მართვა, ლექტორი მაკა პეტრიაშვილი, საჯარო ორგანიზაციების მართვა, ლექტორი ნათია ჯოხაძე. სამივე კურსი სხვადასხვა ასპექტით განიხილავს საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს, ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ მოხდება როგორც განსახილველი თემების, ასევე ლიტერატურის ნაწილის თანხვედრა. მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს ისიც აღინიშნა, რომ ლექტორები ერთმანეთის სილაბუსებს ეცნობიან, მაგრამ სასურველია, ანალიზის მრავალფეროვნების და სტუდენტებისათვის მასალის ამომწურავად მიწოდების მიზნით, ასეთი ტიპის საგნებში ლექტორების მეტი თანამშრომლობა იყოს ხელშეწყობილი.

კურიკულუმით განსაზღვრული 12 სავალდებულო საგნის ფარგლებში ჩაშლილი არის სწავლის შედეგები (8 შედეგი), რომლებსაც წარმოდგენილი კურსების სილაბუსები სრულად ასახავს და მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა შეესაბამება კურსის შინაარსს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში გამოყენებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, მათ შორის სპეციალობის საგნებში. მაგალითად, კურსში „სახელმწიფო მართვა“ სავალდებლოდ მითითებულია შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. Public Administration: An Action Orientation, 6th ed., by Robert B. Denhardt and Janet V. Denhardt; 2009
2. Public Administration: Concepts and Cases; Richard Stillman; 2010

დენჰარდტის სახელმძღვანელო ქართული თარგმანით, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, ასევე მითითებულია საჯარო პერსონალის მართვის კურსშიც. გარდა ამისა, სკოლის ევროპული საჯარო მმართველობის შესწავლის მიმდინარე პროცესებში ჩართულობის გათვალისწინებით (მაგალითად, NISPAcee-ს პუბლიკაციები, კონფერენციები და სხვა), სასურველი იქნებოდა, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილის გამდიდრება უფრო ახალი წყაროებით, მით უმეტეს, რომ საჯარო მმართველობის სფეროში რეფორმები აქტიურად მიმდინარეობს და ცვლილებები და სიახლეები თითქმის ყოველწლიურად ინერგება. გარდა ამისა, სასურველია, კურსის ფარგლებში განიხილებოდეს საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმა და ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საჯარო მმართველობის პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები)

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (სახელმწიფო მართვა)
- სილაბუსებში სავალდებულო/დამატებითი ლიტერატურის ველში ზოგადი ვებ-გვერდების ნაცვლად არსებულ ვებ-გვერდებზე კონკრეტული მასალის მითითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სახელმწიფო მართვის კურსში საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის თემების დამატება
- მოწვეულ პერსონალთან მუშაობის პროცესში სკოლისა და პროგრამის ხელმძღვანელობის ჩართულობის გაზრდა. მომიჯნავე საგნებში მოწვეული პერსონალის ურთიერთთანამშრომლობის მეტად ხელშეწყობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარება გათვალისწინებულია სასწავლო კურსის კურიკულუმით. რასაც, ცალკეული კურსების გარდა, ხელს უწყობს სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის პროცესიც. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის ზოგადი სპეციფიკის გათვალისწინებით - საწარმოო პრაქტიკას არ აქვს მინიჭებული დამოუკიდებელი კრედიტები (სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია და ასეთი სავალდებულო პრაქტიკის შემოტანა ფორმალურ ხასიათს შეიძენდა), თუმცა პრაქტიკული კომპონენტები ჩადებულია კურსებში პროექტების, პრეზენტაციების, მოწვეული სტუმრების, სიმულაციების, სიტუაციური ანალიზის და სწვალების სხვა მეთოდების გამოყენებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში ზოგ შემთხვევაში ეს აქტივობები არ არის ნათლად გაწერილი სალექციო საათების და შეფასების კომპონენტების მიხედვით (მხოლოდ მითითებულია გამოყენებული სასწავლო მეთოდების ჩამონათვალში); ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პრაქტიკულ კომპონენტს არ ექცევა სათანადო ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის დატვირთულობისა, სტუდენტების აქტიური ჩართულობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო კონკურსებში ნაკლებია. კარგი იქნებოდა ისინი უფრო აქტიურები ყოფილიყვნენ ამ კუთხით და, გარდა ამისა, ჰქონდეთ შესაძლებლობა პუბლიკაციებისა თუნდაც ელექტრონულ ჟურნალში. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოჩნდა, რომ მიუხედავად სკოლის ფართო საერთაშორისო კონტაქტებისა, მათ შორის Erasmus+ პროგრამების ფარგლებში, სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში საკმარისად არ ხდება. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა მხოლოდ 3 თანაჯგუფელი გაიხსენეს, რომლებმაც საბაალავრო და სამაგისტრო საფეხურზე გაცვლითი პროგრამით გაიარეს კურსები პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი)
რეკომენდაციები: ○ სილაბუსებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს. ის რაც ლექტორებთან საუბრისას გამოჩნდა, ზოგ შემთხვევაში არ არის ასახული სასწავლო კურსის სილაბუსებში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სტუდენტების ჩართულობის ზრდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო კონკურსებში და საუკეთესო ნაშრომების გამოქვეყნების საშუალება თუნდაც ელექტრონულ ჟურნალში.

○ სტუდენტების საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა (Erasmus+ გაცვლითი კურსები და სხვ.)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები სრულად არის ასახული საგნების სილაბუსებში, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს. პროგრამაში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორებიცაა: ინტერაქტიული ლექცია სამუშაო ჯგუფში მუშაობა პრაქტიკული მუშაობა სემინარი პრეზენტაცია დისკუსია/დებატები სალექციო პროცესში გამოიყენება სიმულაციების და სიტუაციური ანალიზის მეთოდები. გარდა ამისა, სკოლის ფარგლებში იგეგმება შებრუნებული საკლასო ოთახის (Flipped classroom) მოდელის დანერგვა. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის პილოტირება უკვე განხორციელდა აკადემიური წერის კურსის ფარგლებში. ინტერაქტიული და თანამედროვე მეთოდების ეფექტურად გამოყენებას ხელს უწყობს სტუდენტთა რაოდენობაც ჯგუფში (10-12 სტუდენტი)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კურსების სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სკოლის დეკანი)
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდის პილოტირება
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი, სადაც განთავსებულია სასწავლო კურსის საგნების სილაბუსები და აისახება შესაბამისი შეფასება და საკომუნიკაციო ელ-ფოსტა career@cu.edu.ge, რომლის მეშვეობითაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს უკუგება შეფასებასთან დაკავშირებით. ყოველი საგნის სილაბუსში გაწერილია შეფასების თითოეული კომპონენტის კრიტერიუმებისა და ქულების რუბრიკა. სტუდენტების შეფასება ხდება ორი გზით : შუალედური და დასკვნითი. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან, რაც პროგრამის ერთ-ერთი ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და შესაბამისად იყენებს კიდეც მას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ცალკეულ სასწავლო კურსებში შუალედური შეფასება ხორციელდება ღია კითხვების ფორმით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

პროგრამაზე შემუშავებულია და მოქმედებს დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ. გამოცდების ორგანიზება და ჩატარება ხდება საგამოცდო ცენტრის მიერ, რომლის საქმიანობა რეგულირდება დებულებით. სტუდენტთა ნაშრომები კონფიდენციალობის დაცვით (გვარის მითითების გარეშე, კოდირებული) მიეწოდება ლექტორს გასასწორებლად. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია საგამოცდო შეფასების გასაჩივრების - აპელაციის წესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი აპელაციის დროს გასაჩივრებულ ნაშრომს ისევ ის ლექტორი ასწორებს, რომელმაც ფინალური ნაშრომი გაასწორა და ამის შემდეგ უკვე მეორეჯერ გასაჩივრებულ ნაშრომს ასწორებენ სხვა ლექტორები კომისიური წესით. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შესაძლებელია გამსწორებლის მოწვევა სხვა უნივერსიტეტიდანაც, რაც დასტურდება გამოცდების ჩატარების დებულებითაც. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, პირველივე აპელაციის დროს ნაშრომი გაასწოროს სხვა ლექტორმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის კითხვარები
- შეფასების ელექტრონული უწყისები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ
- ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პირველადი აპელაციის დროს გასაჩივრებული ნაშრომის გასასწორებლად გადაცემა სხვა ლექტორისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ერთიანი საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების და გასაჩივრების/აპელაციის ორგანიზება და განხორციელება, სტუდენტთა ნაშრომების კოდიფიცირებული სახით (კონფიდენციალობის დაცვით) გასწორება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მაქსიმალურად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, შესაძლო დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებს. ამ ყველაფრის შესახებ სტუდენტებს სისტემატურად ეგზავნებათ ინფორმაცია მათ პირად ელექტრონულ მისამართებზე. ისინი გრძნობენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან და აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, რომლებიც ხშირად ატყობინებენ მათ შესაფერესი ვაკანსიის შესახებ და რეკომენდაციას უწევენ დასაქმების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს აკადემიური მენეჯერისგან და პროგრამების დირექტორისგან მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე. ახალჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით უტარდებათ საორიენტაციო ტრენინგი, რის შემდეგაც მათ გადაეცემათ სპეციალური საქაღალდე, რომელშიც მოცემულია საჭირო ინფორმაცია საუნივერსიტეტო სივრცეში ეფექტური ორიენტირებისათვის. სკოლის დეკანი ახალჩარიცხული

სტუდენტებისათვის ატარებს პროგრამის პრეზენტაციას, სადაც სტუდენტს შეუძლია ძირფესვიანად გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას, დაუსვას კითხვები ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პროფესორებს (აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ ლექტორებსა და სპეციალისტებს). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური, რომელიც თანამშრომლობს ბაზარზე არსებულ საერთაშორისო და ადგილობრივ წამყვან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან, რომელთა საერთო მიზანია აკადემიური უმაღლესი განათლების ფარგლებში სტუდენტების პროფესიული მომზადებისათვის ხელშეწყობა, სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

უნივერსიტეტი, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს აწვდის სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების საჯარო და ექსკლუზიურ ვაკანსიებს, რაც ხელს უწყობს როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლას. კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური ასევე კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს შემდეგ საკითხებში :
1) სტუდენტების დახმარება სააპლიკაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით (CV-ს, სამოტივაციო წერილის გადახედვა, რჩევები, რეკომენდაციები და სხვა);
2) საჯარო ლექციების და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სემინარების ორგანიზება და აღნიშნულ სემინარებზე სტუდენტების დასწრების ხელშეწყობა;
3) დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების კონსულტირება და ხელშეწყობა;

თუმცა, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, უსდ-ში არსებული კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციები მათ მიმართ უმეტესწილად მხოლოდ ინფორმაციის დაგზავნით შემოიფარგლება. სასურველია, აღნიშნული სამსახურის ფუნქციებში შევიდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პერსონალური უნარების განვითარების ხელშეწყობა, რაც შესაძლებელია სხვადასხვა რეგულარული ტიპის მოკლე ტრენინგებით (რეზიუმეს შედეგნა, გასაუბრების დროს საკუთრი თავის წარმოჩენა, ე.წ. „სხარტი პრეზენტაციის“ (elevator pich) ჩატარება და სხვ.)

პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ორგანიზებით კავკასიის უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მოიპოვონ სემესტრული 100%-იანი ან ნაკლები სასწავლო სტიპენდია, ფულადი პრიზები და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის პროგრამა
- ფუნქცია-მოვალეობები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- მემორანდუმები
- ხარისხის უზრუნველყოფა, გამოკითხვები და შედეგები, კითხვარები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სკოლის დეკანი, პერსონალის მართვისა დეპარტამენტის დირექტორი და კარიერული განვითრებისა და დასაქმების სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დირექტორი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი).

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარიერისა და დასაქმების სამსახურის უფრო აქტიური ჩართულობა სტუდენტთა დასაქმების პროცესში, პერსონალური უნარების განვითარების ხელშეწყობის გზით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტის თანამშრომლობა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ წამყვან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან. ○ შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო გრანტების არსებობა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მიზანია გამოუმუშავოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი უნარები პროფესიულ დონეზე, ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას. სამაგისტრო ნაშრომის თემის რეგისტრაციისთვის სტუდენტი მიმართავს სკოლის დეკანს რეგისტრაციის გახსნისთანავე (მაგრამ არა უგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში) (წერილობით ან ელექტრონულად) განაცხადის სპეციალური ფორმით (დებულების დანართი 1), რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს თემის ხელმძღვანელი. განცხადების საფუძველზე სკოლის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სამაგისტრო თემას, თემის ხელმძღვანელს, ადგენს თემის მონახაზის/პროსპექტუსის ჩაბარების, წინასწარი დაცვის ნაშრომის ჩაბარებისა და დაცვის ვადებს, რის შესახებაც ეცნობება მაგისტრანტს განაცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში. მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი, რომლებსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით : თემის შერჩევა, კვლევის დიზაინის შედგენასა და შესაფერისი აკადემიური ლიტერატურის შერჩევაში. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ასევე ვალდებულია ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, მიუთითოს მაგისტრანტს საჭირო კორექტივები. ნაშრომის დასრულების შემდეგ, მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის შესახებ. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი რეგისტრირდება 3-კრედიტიან სავალდებულო

სასწავლო კურსზე „სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი“, რომლის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ კვლევის დიზაინის მთავარი კომპონენტების გამოყენებას თავიანთ სამაგისტრო ნაშრომებში. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი, ციტირების წესი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის სპეციალური დებულებით.

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვა ტარდება კომისიის წინაშე სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-14 კვირაში. წინასწარ დაცვას მაგისტრანტი აკეთებს პრეზენტაციის სახით (Power Point), რომელსაც ეთმობა 30 წუთი (15-20 წუთი პრეზენტაცია და 10-15 წუთი კითხვა-პასუხი).

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის დროს ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს:
-ზეპირი პრეზენტაციის დროს ნაშრომის თემის და კვლევის აქტუალობის წარმოჩენა;
- აკადემიური ნაშრომისთვის აუცილებელი კომპონენტების ნათლად წარმოდგენა (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, შერჩეული თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგია, სავარაუდო დასკვნები);
- რამდენად დამჯერებლად ახერხებს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას/შესაბამისი განმარტების წარმოდგენას;
- დროის დაცვა, გადმოცემის ეფექტურობა და პრეზენტაბელურობა.

წინასწარ დაცვაზე დასკვნა სრულდება კომისიის მიერ, დებულებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა და წარმოდგენას ქმნის მაგისტრანტის მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

საბოლოო დაცვაზე კომისია წარმოდგენილ ნაშრომს 100 ქულის ფარგლებში აფასებს, ორ კომპონენტად : წერითი (70 ქულა) და ზეპირი პრეზენტაცია (30 ქულა). დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების მიერ დაწერილ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.

წარმატებულ პრაქტიკად მიგვაჩნია სადიპლომო კომისიის წევრების მიერ ნაშრომების ორმაგი რეცენზირება, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ სამაგისტრო ნაშრომს ორი რეცენზენტი კითხულობს და აფასებს, ზეპირ პრეზენტაციაზე მიღებული შეფასებების გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ სადიპლომო ნაშრომის მომზადების პროცესში მაღალია ხელმძღვანელის ჩართულობა და ასევე, საბოლოო ნაშრომის შეფასება საკმაოდ სკრუპულოზურად ხდება კომისიური წესით, დებულების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომში მიღებული საბოლოო ქულა არ ექვემდებარება გასაჩივრებას. სასურველია, სტუდენტისთვის დაშვებული გახდეს ამ შეფასების გასაჩივრება იმავე პრაქტიკით, როგორც ეს სასწავლო კურსების შემთხვევაში ხორციელდება.

ასევე, როგორც სადიპლომო ნაშრომების გადახედვისა და ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, არსებობს გარკვეული ორაზროვნება კვლევის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ: კვლევა ძირითადად ეფუძნება მეორადი მონაცემების ანალიზს (კანონმდებლობა, არსებული კვლევები, ლიტერატურა, უცხო ქვეყნების გამოცდილება და ა.შ.). სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს პირველადი მონაცემების შეკრება რაოდენობრივი ან თვისებრივი მეთოდით. თუმცა, ნაშრომი, რომელშიც პირველადი მონაცემებია გაანალიზებული, უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებს; რამაც შესაძლოა სტუდენტებში არასამართლიანი შეფასების შეგრძნება გამოიწვიოს.

სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევში განისაზღვროს სავალდებულო კომპონენტად პირველადი მონაცემების მოგროვება და ანალიზი და შესაბამისად აისახოს ეს შეფასების კომპონენტებში. მეტი სიცხადისათვის უმჯობესია, არსებობდეს სამაგისტრო ნაშორმის სილაბუსი, სადაც მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები იქნება გაწერილი. პირველადი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურზე როგორც ორიგინალური კვლევის ჩატარების თვალსაზრისით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი საჭირო უნარებს იძენს სწავლების შემდგომ საფეხურზე (სადოქტორო პროგრამა) სწავლის გაგრძელებისათვის. აღნიშნულის განხორციელება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს პროგრამისათვის, მით უმეტეს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განსახილველად წარმოდგენილ დიპლომთა უმეტესობა იყენებდა პირველადი მონაცემების ანალიზს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება მდიდარი ლიტერატურა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ბაზების სახით, რაც სამაგისტრო ნაშრომისათვის თეორიული ჩარჩოს შემუშავების და სამაგიდო კვლევის განხორციელების კარგ საშუალებას აძლევს სტუდენტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხილულ სამაგისტრო ნაშრომთა ნაწილი საკმაოდ მოძველებულ სამეცნიერო წყაროებს ეყრდნობოდა. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ სადიპლომო ნაშრომების განხილვის დროს თვალსაჩინოდ გამოჩნდა ტენდენცია - შედარებით ახალ ნაშრომებში (2018 წლის) უფრო ახალი წყაროები იყო გამოყენებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მაგისტრატურის დებულება ○ სამაგისტრო ნაშრომების სია ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები ○ სამაგისტრო ნაშრომის დებულება ○ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის გზამკვლევი ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ხელმძღვანელები).
რეკომენდაციები: ○ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის დაშვება ○ სამაგისტრო ნაშრომში პირველადი მონაცემების მოგროვებისა და ანალიზის კომპონენტების (რაოდენობრივი ან თვისებრივი გზით) სავალდებულოდ დამატება და შეფასების კომპონენტებში შესაბამისი ასახვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შემუშავება, კვლევის გამოყენებული მეთოდებისა და შეფასების დეტალური აღწერით. ○ ლიტერატურის მიმოხილვის ან სამაგიდო კვლევის დროს განახლებული სამეცნიერო წყაროების გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ორმაგი რეცენზირების პრაქტიკა; ○ სკოლის ფარგლებში არსებული მოცულობითი აკადემიური ბაზები და ლიტერატურა, რაც იძლევა სათანადო სამაგიდო კვლევის ჩატარების საშუალებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრმა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება საჯარო მმართველობისა თუ მონათესავე მიმართულებებში. აღნიშნული დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებითა და ბოლო 5-10 წლის განმავლობაში გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობით. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია და უზრუნველყოფს

კურსდამთავრებულთათვის იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომლებიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის ზღვრული ნიშნულები, რომლის მიხედვით 1) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში არ უნდა იყოს 1/10-ზე ნაკლები, 2) აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობასთან მიმართებით უნდა იყოს არანაკლებ 5% და 3) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/2-ს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური და 14 მოწვეული სპეციალისტი, რომლებიც ემსახურებიან პროგრამის 36 სტუდენტს. აკადემიური პერსონალიდან ოთხი გახლავთ უნივერსიტეტთან აფილირებული. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის დადგენილ ზღვრულ ნიშნულებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას და პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისი კვალიფიკაცია დასტურდება მისი პირადი საქმით, იგი ფლობს დოქტორის ხარისხს მომიჯნავე პროფესიასში - ბიზნესის ადმინისტრირებაში და აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური და მზარდი პროფესიული გამოცდილება საჯარო სექტორში, მათ შორის საქართველოს პარლამენტში, სადაც საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის კომისიის წევრის რანგში უშუალოდ არის ჩართული პარტნიორობა ღია მმართველობის (OGP) საპარლამენტო პროცესებში, რაც თანამედროვე საჯარო მმართველობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა თუ სკოლაში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე თანამშრომლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სკოლის დეკანი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დირექტორი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომელიც აღწერს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასების მექანიზმებს, როგორც სტუდენტების მიერ, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტების მიერ შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს დადგენილი კითხვარის საფუძველზე ელექტრონული ფორმით პროგრამის კომპონენტის ანონიმურ შეფასებას ღია და დახურული კითხვების საშუალებით. ხოლო, ადმინისტრაციის მიერ შეფასება გულისხმობს ორ ძირითად ეტაპს: 1) დაგეგმვა/პროფესიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და 2) განხილვა/შეფასებას, სადაც შეფასების კრიტრიუმები განისაზღვრება 3 კომპონენტით სწავლა/სწავლება, კვლევა და ადმინისტრაციული საქმიანობა). აღნიშნულის მიუხედავად, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან ინტერვიუებისას აქცენტი გაკეთდა პერსონალის სტუდენტების მიერ შეფასებაზე, რომელიც გამოიკვეთა როგორც პერსონალის შეფასების ძირითადი მექანიზმი. ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარების შედეგებს განიხილავს სკოლის დეკანი ან/და ხარისხის სამსახური და უზიარებს ინდივიდუალურ ლექტორებს შესაბამისი რეაგირების მიზნით.

გარდა აღნიშულისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული განვითარების, კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმს. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ლექტორები ჩართულები არიან სხვადასხვა ფორმატის პროფესიულ ღონისძიებებში როგორებიცაა, ტურნიტინსა და მუდლის ელექტრონული პლატფორმების ტრენინგი, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების პროფესიული ასოციაციის (NISPAcee) კონფერენციებში მონაწილეობა და აშ. NISPAcee-ს აქტიური წევრის სტატუსი ასევე მოიცავს სფეროში სამეცნიერო საქმიანობას, მულტილატერალულ კვლევებში მონაწილეობასა და კვლევების წარმოებას. უსდ ასევე ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კველვითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას, რასაც ადასტურებს ბიუჯეტში გათვალისწინებული განვითარების, კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულება.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს მკაფიოდ გამოვლინდა მათი მაღალი ლოიალურობა უსდ-ს მიმართ, კმაყოფილება სკოლის და ცენტრალური ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ანგარიში) ○ სტუდენტების მხრიდან ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი და მიღებული შედეგები; ○ კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის; ○ აკადემიური პერსონალის კვლევის ანალიზი; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ლოიალურობა უსდ-სა და სკოლის მიმართ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც ვიზუალურად დაცულია უსაფრთხოების თანამედროვე ნორმები სიგნალიზაციის, ცეცხლმაქრების, პერიმეტრის ვიდეო კონტროლისა და უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის ჩათვლით. თვითშეფასების მიხედვით "შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს".

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას მოხდა სხვადასხვა ოფისის, ბიბლიოთეკის, საკონფერენციო დარბაზისა და აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით.

ბიბლიოთეკა აჭურვილია სამკითხველო დარბაზით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით, რომელიც ასახულია ბეჭდური ფონდისა და ელექტრონული ფონდის ელ-კატალოგებში და ხელმისაწვდომია ტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და შესაბამისი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით, როგორებიცაა Cambridge Journals Online, EBSCO Elit package, International Security & Counter Terrorism Reference Center და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის ფონდი მნიშვნელოვნად გამდიდრდა 2014 წლის შემდეგ ახალი ლიტერატურით, უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით.

საერთო ჯამში, უსდ-ს ახალი კამპუსი, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ. შესაბამისად, უსდ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულიად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მოთხოვნებს.

თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, სტუდენტები ნაკლებად იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებს, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გარდა. სასურველია ლექტორების მხრიდან მოხდეს სტუდენტების წახალისება, რომ დამოუკიდებლად მოიძიონ შესაბამისი წყაროები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერება
- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიურ ბაზებზე;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.
- ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სტუდენტების წახალისება ბიბლიოთეკის მატერიალური და ელექტრონული რესურსების გამოყენებისათვის არასავალდებულო/დამატებთი ლიტერატურის მოძიების მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ 2014 წლის შემდეგ ბიბლიოთეკის რესურსების მნიშვნელოვანი განახლება
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან მისაღები შემოსავალი და პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები, მათ შორის პროგრამის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტის მატერიალური მხარდაჭერისა და გაუთვალისწინებელ ხარჯების მუხლები. პროგრამის ბიუჯეტში ასევე თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. ბიუჯეტით გათვლისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს. პროგრამის საერთო შემოსავლის დაახლოებით 15% გამიზნულია პროგრამის განვითარების, კვლევითი კომპონენტის, აკრედიტაცია/ავტორიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და სხვა ხარჯების დასაფარად. სასურველია ამ მუხლის მეტი დაკონკრეტება და ზემოთ მითითებული აქტივობებისათვის, ასევე სტუდენტური პროექტების განხორციელებისათვის კონკრეტული თანხების მითითება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი

○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები (ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ განვითარების, კვლევითი კომპონენტის, აკრედიტაცია/ავტორიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტური პროექტებისათვის გამიზნული ფინანსური რესურსების მეტი დეტლიზაცია და დაკონკრეტება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდ-ში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულად ახდენს ყველა სკოლისა და პროგრამის მონიტორინგს. სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან თანამშრომლობს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი, ასევე, აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამების მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია ასევე სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებაზე. უნივერსიტეტში გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებია:

- ხარისხის კონტროლი
- ხარისხის გაუმჯობესება
- საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება
- სამიზნე ნიშნულების დადგენა (benchmarking)
- საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობა (ინსტიტუციური/პროგრამული)
- დიპლომის/კვალიფიკაციის აღიარება საერთაშორისო დონეზე

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“(PDCA) ციკლის მიდგომას, რაც სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას მოიაზრებს, რისთვისაც სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვა/მენეჯმენტის კომპონენტებისათვის შეფასება ხორციელდება შემუშავებული ინდიკატორების შესაბამისად, მათ შორის, კონკრეტულ პროგრამაზე:

- პროგრამის მიზნების ბმა დარგის/სფეროს მოთხოვნებთან მიმართებაში (თანაფარდობა)
- პროგრამის სტრუქტურაში საჭირო ელემენტების/კომპონენტების წილი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ელემენტებთან/კომპონენტებთან)
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების რაოდენობასთან
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა

ხარისხის უზრუველყოფის სამსახური ინტენსიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში, კონსულტაციებს უწევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სილაბუსების შექმნის, შეფასების სისტემების, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის შიდა შეფასების ფორმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი)

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საჯარო მმართველობის პროგრამის ადმინისტრაცია, სახელმწიფო მართვის სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და უსდ-ს სხვადასახვა სტრუქტურული ერთეულები გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. გარე შეფასება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება "საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა" და "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას". გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად შეიძლება მოვიაზროთ NISPAcee-ს ქსელის ინტენსიური ჩართულობა პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, ქსელის ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით განხორციელებული ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, ასევე, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ფარგლებში ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის განხილვა და გაანალიზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 6 ნოემბრის N 01/01-36 ბრძანება „სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ" ○ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2019 წლის 13 თებერვლის ბრძანება N 01/01-28 „სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ". ○ თვითშეფასების ანგარიში ○ მემორანდუმები ევროპულ უნივერსიტეტებთან ○ განხორციელებული საერთაშორისო პროექტების ფარგლებში სამუშაო ვიზიტების ჩამონათვალი

○ NISPAcee სამეცნიერო ქსელის წევრობა ○ ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, სამაგისტრტო და სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამების მენეჯერი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების სისტემა. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. თუმცა, როგორც აღინიშნა სტანდრტი 1-ის აღწერაში, დამსაქმებელთა ჩართულობა არ ატარებს სისტემატურ ხასიათს და სასურველია ამ პროცესის მეტი ფორმალიზება. სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად.

ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს შემდეგ მონაცემებს:

- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- შრომის ბაზრის კვლევები

აღნიშნული გამოკითხვები ტარდება ყოველწლიურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კითხვარები: აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, ლექტორთა შეფასების, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის კმაყოფილების
- გამოკითხვები და კვლევის შედეგები: აკადემიური პერზონალის ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა კვლევა, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, შრომის ბაზრის კვლევები
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფს დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
კავკასიის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საჯარო მმართველობა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნინო დოლიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნოდარ ხერხეულიძე

ირაკლი ნოდია

ოთარ ბაღათურია